

საგანმანათლებლო პროგრამის
დაგეგმვის, შემუშავების,
დამტკიცების, განვითარების
მეთოდოლოგია და გაუქმების
წესი



SPORTUNI



1. ზოგადი დებულებები

- 1.1. წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (შემდეგში - „უნივერსიტეტი“) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცესებსა და პროცედურებს.
- 1.2. წინამდებარე წესი ეფუძნება საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისს N65ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებას“ და სხვა საკანონმდებლო აქტებს.
- 1.3. ეს წესი სავალდებულოა შესასრულებლად საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების პროცესებში ჩართული ყველა პირისთვის.

2. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა

2.1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის ეტაპებია:

- 2.1.1. **საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება, მისი შემუშავების საჭიროების დადგენის შედეგად.** საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება შეიძლება მოხდეს უნივერსიტეტის ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის, ასევე ფაკულტეტის/უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ. ინიცირების საფუძველი შეიძლება გახდეს შრომის ბაზრის და/ან დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი, უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტები, უცხოურ და ადგილობრივ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობა.
- 2.1.2. საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით დაგეგმვა/შემუშავებაში **ჩართული პერსონალის და სტუქტურული ერთეულების** (აკადემიური/მოწვეული/კვლევითი პერსონალი, დამსაქმებელი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და სხვა) **განსაზღვრა.**
- 2.1.3. საგანმანათლებლო პროგრამისთვის აუცილებელი ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების არსებობის და/ან მოძიების პერსპექტივების განსაზღვრა.
- 2.1.4. **საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის განსაზღვრა.** საგანმანათლებლო პროგრამას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი.



- 2.1.5. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალი.
- 2.1.6. უზრუნველყოფილი უნდა იქნას საგანმანათლებლო პროგრამის: დასახელების განსაზღვრა; საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაციის განსაზღვრა; სწავლების ენის განსაზღვრა.
- 2.1.7. სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვის შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნას პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის შესაბამისი პროფილი.

3. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დამტკიცება

- 3.1. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნები/უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტები/გარე პარტნიორებთან კონსულტაციები (უკუკავშირი)/დარგის სპეციფიკა/საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა.
- 3.2. შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები შესაბამისობაში უნდა იყოს უნივერსიტეტის მისიასთან და **ემსახურებოდეს მის მიღწევას.**
- 3.3. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში უნივერსიტეტის ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან ერთად ჩართულნი უნდა იყვნენ: დამსაქმებელი/დამსაქმებლები, სტუდენტ(ებ)ი, კურსდამთავრებულ(ებ)ი (არსებობის შემთხვევაში) და ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი. **სავალდებულოა** საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის, საფინანსო და შესყიდვების დეპარტამენტის, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მონაწილეობა.
- 3.4. პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს: პროგრამაზე მისაღები სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და დამხმარე პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა, რაც უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციას და უზრუნველყოფდეს საგანმანათლებლო პროგრამისა და სტუდენტთა მხარდამჭერი სხვადასხვა სერვისის ხარისხს; პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო რესურსები, ფინანსური უზრუნველყოფა და სხვა.
- 3.5. საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შემუშავდეს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული და დამტკიცებული **საგანმანათლებლო პროგრამის ფორმის შესაბამისად (დანართი N1).**
- 3.6. პროგრამის შემუშავების/განვითარების მიზნით, იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ წინამდებარე წესის „**3.3. პუნქტით** „ განსაზღვრული პირები.
- 3.7. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი, შესაბამისი კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალის ჩართულობით, შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამის პირველად ვერსიას.



- 3.8. საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი ვერსია უნდა წარედგინოს სამუშაო ჯგუფს, მასში ჯგუფის წევრების მოსაზრებების/რეკომენდაციების ასახვის (საჭიროების შემთხვევაში) მიზნით. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას სავალდებულოა **ჯგუფის სულ მცირე 3-ჯერ შეკრება**.
- 3.9. ჯგუფის მუშაობას მხარს უჭერს ფაკულტეტის/უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, როგორც სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მისი წარმომადგენლის ჩართულობით, ასევე კონსულტაციების გზით.
- 3.10. პროგრამის შემუშავებისას სამუშაო ჯგუფმა უნდა იხელმძღვანელოს წინამდებარე წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებით“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით“, საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი და სწავლის სფეროების კლასიფიკატორითა და სხვა ნორმატიული დოკუმენტებით.
- 3.11. შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა, შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებით (სასწავლო კურსების სილაბუსების შემუშავება უნდა განხორციელდეს უნივერსიტეტში დამტკიცებული ფორმის შესაბამისად - **დანართი N2**) და დანართებით (პერსონალის პირადი საქმეები, საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი და სხვა დანართები), გადაეცემა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც აფასებს საგანმანათლებლო პროგრამას უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით და დადებითი დასკვნის შემთხვევაში წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად.
- 3.12. ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამა გადაეცემა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
- 3.13. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას მოქმედ რეგულაციებთან და საქართველოში მოქმედ სტანდარტებთან და დადებითი დასკვნის შემთხვევაში წარუდგენს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად. შეუსაბამობის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა უბრუნდება სამუშაო ჯგუფს გადასამუშავებლად.
- 3.14. საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შემდეგ, ივსება საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, რომელიც შესაბამის დანართებთან ერთად წარედგინება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს აკრედიტაციის მიზნებისთვის.
- 3.15. უნივერსიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამები პროგრამული აკრედიტაციის პროცედურების გავლის და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ აკრედიტაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.



3.16. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება დასაშვებია ასევე მათი ავტორიზაციის გზით (გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა, როდესაც საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების საფუძველი სავალდებულოდ ითვალისწინებს მის პროგრამის აკრედიტაციას).

4. მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ

4.1. პროგრამის მოცულობა კრედიტებით.

4.1.1. **საბაკალავრო** პროგრამის მოცულობა განისაზღვრება არანაკლებ **240 კრედიტით (1 ECTS კრედიტი=25 საათს)**. მათ შორის:

- არანაკლებ **120 კრედიტი** ეთმობა ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსებს;
- **120 კრედიტი** შეიძლება განაწილდეს, სტუდენტის სურვილისა და მისი თავისუფალი არჩევანის განთვალისწინებით (მათ შორის ზოგადი კომპეტენციების გამომუშავებისკენ მიმართულ სასწავლო კურსებზე: აკადემიური წერა, უცხო ენა, კომპიუტერული ტექნოლოგიები, ასევე არჩევით სასწავლო კურსებსა და პრაქტიკაზე), ასევე დამატებით (მაინორ) სპეციალობაზე.

4.1.2. **სამაგისტრო** პროგრამის მოცულობა განისაზღვრება არანაკლებ **120 კრედიტით**. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელი კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც მოიცავს **30 კრედიტს**. სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტსა და დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შემუშავებულ საკვალიფიკაციო ნაშრომს. სასურველია სამაგისტრო პროგრამა მოიცავდეს პრაქტიკულ კომპონენტსაც.

4.1.3. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტის მომზადებაზე შესაბამისი რეგულირებადი პროფესიისთვის. საგანმანათლებლო პროგრამის **არანაკლებ 75%** ეთმობა რეგულირებადი პროფესიისთვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას.

4.1.4. ცალკეული სასწავლო კურსების კრედიტების მოცულობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს სასწავლო კურსის შინაარსი, დამოუკიდებელი სამუშაოს მოცულობა, სწავლის შედეგები და დარგის სპეციფიკა.

4.2. სწავლების ენა

4.2.1. სწავლების ენა არის ქართული.

4.2.2. შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამის როგორც სრულად, ასევე მისი ცალკეული კომპონენტების უცხოურ ენაზე განხორციელება, აუცილებელი რესურსების არსებობის შემთხვევაში.



4.2.3. საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ უცხოურ ენაზე წარმართვა დაშვებულია, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შესაბამისი ნებართვის მიღების შემდეგ.

4.3. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და შეფასება

- 4.3.1. პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
- 4.3.2. სტუდენტის ცოდნის შეფასებისას უნდა გამოიყენებოდეს გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებების და გაუმჯობესების გზების შესახებ.
- 4.3.3. შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები დეტალურად უნდა იყოს გაწერილი სასწავლო კურსის სილაბუსში.
- 4.3.4. შეფასება უნდა ხდებოდეს სასწავლო კურსის შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე სათანადო სიხშირით.
- 4.3.5. გამოყენებული შეფასების მეთოდების შესაბამისი წონების გადანაწილება უნდა იყოს ლოგიკური და სასწავლო კურსის მიზნების შესაბამისი.
- 4.3.6. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. (იხ. სტუდენტთა შეფასების სისტემა)

4.4. სასწავლო გეგმა

4.4.1. სასწავლო გეგმაში განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი ყველა კომპონენტის (სასწავლო კურსი, პრაქტიკა, ნაშრომი და სხვა) დასახელება, ტიპი, კრედიტი, საათების განაწილება დატვირთვის სახეების მიხედვით, დაშვების წინაპირობა და სემესტრი.

4.4.2. სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს მოდიფიცირების შესაძლებლობას ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შესაქმნელად (მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტთათვის).

4.4.3. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა შეიძლება შეიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

ა) საბაზისო (ზოგადი კომპეტენციების გამომუშავებისთვის აუცილებელი) სასწავლო კურსების ბლოკი (სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებით);

ბ) სპეციალობის სასწავლო კურსების ბლოკი, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

- სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებით;
- სპეციალობის კონცენტრაციის მოდულები (საჭიროების შემთხვევაში);
- პროფესიული პრაქტიკა და/ან პრაქტიკული სასწავლო კურსები;
- კვლევითი ნაშრომი.



4.4.4. სასწავლო კურსის მითითებისას აღინიშნება: ა) სახელწოდება; ბ) მოცულობა კრედიტებით; გ) სტუდენტის დატვირთვის სახეები (საათებში) დ) დაშვების წინაპირობა (არსებობის შემთხვევაში) ე) სტატუსი.

4.4.5. სასწავლო კურსების თანმიმდევრობა და მათზე დაშვების წინაპირობა უნდა იყოს ლოგიკური და უზრუნველყოფდეს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და განვითარება

5.1. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მეშვეობით პერიოდულად აფასებს საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

- ატარებს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური ან/და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვებს;
- ახორციელებს სასწავლო მასალების განახლების მონიტორინგს;
- აწარმოებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს;
- პერიოდულად ახორციელებს პროგრამისა და სასწავლო კურსების სილაბუსების ტექნიკურ ექსპერტიზას;
- პერიოდულად ახორციელებს სასწავლო ლიტერატურის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხარისხის მონიტორინგს.

5.2. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, გამოყენებული უნდა იქნას ასევე პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები.

5.3. პროგრამის განვითარება, ისევე როგორც მისი შემუშავება, თანამშრომლობითი პროცესია და მასში ჩართული უნდა იყვნენ შიდა და გარე დაინტერესებული მხარეები. მათი ჩართულობა შესაძლოა განხორციელდეს როგორც მათი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებაში (პუნქტი 1) ასევე პროგრამის განვითარებაზე მომუშავე ჯგუფებში მათი ჩართულობით.

6. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება

6.1. თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის უნდა შემუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, ასევე სწავლის შედეგებისა და კურიკულუმის რუკა, რომელთა ფორმა განისაზღვრება წინამდებარე წესის [დანართით N3](#).

6.2. საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკის შესაბამისად, უნდა შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა განისაზღვრება შესაბამისი წესით ([დანართი N4](#)).



7. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესი

- 7.1. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიციატორი შეიძლება იყოს ნებისმიერი დაინტერესებული მხარე: პროგრამის ხელმძღვანელი, სტუდენტთა ჯგუფი, აკადემიური პერსონალი, პროგრამული მიმართულება/კათედრა, დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რექტორი, დამსაქმებელი.
- 7.2. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელება უნდა ემსახუროდეს მის უწყვეტ გაუმჯობესებას.
- 7.3. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების საფუძველი, გარდა შიდა შეფასების შედეგებისა, შესაძლოა გახდეს გარე მარეგულირებელ ჩარჩოში განხორციელებული ცვლილებები.
- 7.4. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია შესაბამისი სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს ორი კვირისა.
- 7.5. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ცვლილება, ძირითადი სპეციალობის საგანმანათლებლო კომპონენტების დამატება/ამოღება, დამატებითი სპეციალობის პროგრამის ამოღება. დამატება უნდა ეცნობოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, ცვლილების განხორციელებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.
- 7.6. დაუშვებელია საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლების ენის ან/და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილება (თუკი ეს ცვლილება არ ეყრდნობა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში განხორციელებულ ცვლილებებს). ამ შემთხვევაში, პროგრამა განიხილება ახალ პროგრამად და მან ხელახლა უნდა გაიაროს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესი.
- 7.7. პროგრამაში ცვლილების ინიციატივა, ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ, წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც დადებითი დასკვნის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების პაკეტს წარუდგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
- 7.8. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ცვლილებებს დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.
- 7.9. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების რეალიზაციას უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელი.

8. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

- 8.1. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს ;
 - პროგრამის განხორციელების ისეთი რისკ-ფაქტორები, როგორცაა სათანადო ადამიანური და/ან მატერიალური რესურსის სიმცირე უნივერსიტეტში;
 - დამსაქმებელთა და შრომის ბაზრის მოთხოვნების ცვლილებებიდან გამომდინარე სტუდენტთა არასაკმარისი ინტერესი პროგრამისადმი;



- დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, ბაზრის კვლევის შედეგები;
- სტუდენტთა დასაქმების, პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვისა და პროგრამის განსაზღვრულ ვადებში დასრულების დაბალი მაჩვენებელი;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეუსაბამობა საკანონმდებლო მოთხოვნებთან;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

8.2. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საკითხი განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე, რომელიც მიღებულ გადაწყვეტილებას გადასცემს აკადემიურ საბჭოს, განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებიან სტუდენტები, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მათი შემდგომი სწავლის გაგრძელებას შემდეგი მექანიზმებით:

ა) უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს უნივერსიტეტის ფარგლებში განხორციელებული შესაბამისი საფეხურის სხვა პროგრამაზე გადასვლას (არსებობის შემთხვევაში) შიდა მობილობის წესით და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენით და დამატებითი კრედიტების გავლის ღირებულებებისგან ათავისუფლებს სტუდენტს ;

ბ) უნივერსიტეტი მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამის (რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას) განმახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აფორმებს მემორანდუმს/ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამების თავსებადობის დადგენისა და კრედიტების აღიარების პროცედურებს, მობილობის პროცესის გამარტივების მიზნით; გ) უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას და კონსულტაციას სხვა დაწესებულებებში მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების და მობილობის შესაძლებლობის შესახებ.

9. დასკვნითი დებულებები

9.1. წინამდებარე წესს ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით

9.2. წინამდებარე წესში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

თანდართული დანართები:

დანართი N1 - საგანმანათლებლო პროგრამის ფორმა;

დანართი N2- სასწავლო კურსების სილაბუსის ფორმა;

დანართი N3 - სწავლის შედეგების რუკა;

დანართი N4 - სწავლის შედეგების შეფასების გეგმა.